

## კონფერენციის მიმოხილვა CONFERENCE REVIEW

გიუნტერ ბერგჰაუსი  
ბრისტოლის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი  
ბელა წიფურია  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
bela\_tsipuria@iliauni.edu.ge  
DOI: 10.32859/kadmos/16/254-261

### ქართული ფუტურიზმის 100 წელი\*

ისტორიული ავანგარდი მოიცავს დავიწყებულ მომენტებსა და სცენებს, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს ხელახლა აღმოჩენას და შესწავლას. ცენტრალური და პერიფერიული მოძრაობები ერთმანეთს ხელახლა უნდა დაუკავშირდეს, რათა დავინახოთ, თუ როგორ განვითარდა, მაგალითად, ფუტურისტული ავანგარდი სხვადასხვა ნაციონალურ კულტურაში. ისტორიული გარემოებების გამო, გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთი კულტურა გამოეთიშა ესთეტიკის კვლევის უფრო ფართო საერთაშორისო ქსელს, რაც ნიშნავდა, რომ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული ავანგარდული ექსპერიმენტები დანარჩენ ქვეყნებში ათწლეულების განმავლობაში უცნობი დარჩა. ერთ-ერთი ასეთი დავიწყებული მომენტი იყო თბილისური ავანგარდი, რომელიც 1917-1918 წლებში აღმოცენდა და რამდენიმე წლის შემდეგ ფუტურისტული ჯგუფის H2SO4-ის წარმოშობაც განაპირობა. საბჭოთა ხელისუფლებამ ორივე მომენტი წაშალა ქართული კულტურული მემკვიდრეებიდან და ქვეყანა ევროპული კულტურული განვითარების ფართო პროცესს ჩამოაშორა. ამიტომ, პოსტსაბჭოთა ათწლეულებში საქართველოს მოუწია წამოეწყო გახანგრძლივებული მცდელობები თავისი მხატვრული მემკვიდრეობის დასაბრუნებლად, რომელთა შორისაა დიდი ოდენობა ფუტურისტული ნამუშევრებისა სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

\* სტატიის ორიგინალური ინგლისური ვერსია იხ: Tsipuria, Bela. „100 Years of Georgian Futurism“. In *International Yearbook of Futurism Studies*, vol. 15 (2025), ed. Günter Berghaus, 432-438. Berlin: De Gruyter, 2025.

ქართული ფუტურიზმი ჩაისახა მაშინ, როცა ბორის ლოპატინსკი 1911 წელს პარიზიდან თბილისში დაბრუნდა და ჩამოიტანა მარინეტის ფუტურიზმის დაარსება და მანიფესტი, გამოქვეყნებული, სავარაუდოდ, ფუტურისმის ანთოლოგიაში, რომელიც ასევე შეიცავდა სხვადასხვა ფუტურისტულ მანიფესტს. ეს ნაწერები ენთუზიაზმით მიიღო ორმა ძმამ, ილიამ და კირილ ზდანევიჩმა. ამის შემდეგ ორივე მათგანმა რამდენიმე წელი გაატარა რუს ფუტურისტებთან სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც ილიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მარინეტის რუსეთში ვიზიტის დროს 1914 წელს.<sup>1</sup> მანაც, მისი ძმის მსგავსად, შეიმუშავა ფუტურიზმის საკუთარი, თავისებური ხედვა. ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში და შეუერთდა თავისუფალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ, ცოცხალ ავანგარდულ სცენას, თუმცა, ილიას მოკლე ხანში, 1920 წელს, პარიზში ემიგრაციაში მოუწია წასვლა.

1919 წელს, თბილისში დაარსდა ჯგუფი „41°“, რომელიც შედგებოდა რუსი ემიგრანტებისა და ქართველი პოეტებისა და მხატვრებისგან. მათ ოცდაათამდე არტისტული წიგნი გამოუშვეს. მათგან გამორჩეულია ალექსეი კრუჩინისისა და ძმები ზდანევიჩების წიგნები, რომლებიც ფუტურისტული წიგნის დიზაინის შედეგებს შორისაა. მაშინ როცა ქართველი მოდერნისტი პოეტები თავიანთ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე ქმნიდნენ, რუსი ემიგრანტი პოეტები ჩართულნი იყვნენ კულტურულ დიალოგში რუსულ ენაზე გამოცემული ტექსტების მეშვეობით. თუმცა ზოგჯერ მათი პოეზია ლინგვისტურ ჩარჩოებსაც სცდებოდა, რადგან ზაუმის ალოგიკური სტილით იწერებოდა.

თბილისური მოდერნიზმის მომენტი უეცრად შეწყდა ბოლშევიკების მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის არსებობს პირველ წლებში შეიქმნა ქართველი ფუტურისტების კიდევ ერთი ჯგუფი,  $H_2SO_4$ , რომელმაც 1924 წელს გამოსცა ჟურნალი  $H_2SO_4$ . ჟურნალი მოიცავს უაღრესად დახვეწილი დიზაინით შექმნილ ას გვერდს, ესეებით, ლექსებითა და შავ-თეთრი ილუსტრაციებით.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულ ორგანოდ იყო ჩაფიქრებული, მეორე ნომერი არასოდეს გამოსულა. თუმცა, პირველი ნომერი მოდერნისტული წიგნის დიზაინის ღირსშესანიშნავ ნიმუშად ითვლება არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ საერთაშორისო ფუტურიზმშიც.  $H_2SO_4$  იყო პირ-

1 იხ. Lapshin: *Marinetti e la Russia*, pp. 178–181 and Tobin: “Marinetti’s Visit to Russia in 1914 through the Lens of the Russian and Italian Press”.

2 ჟურნალის ციფრული ასლები იხ: <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147211> და [http://www.modernism.ge/?action=photogallery&p\\_id=462&b](http://www.modernism.ge/?action=photogallery&p_id=462&b)  
ქართველ ფუტურისტთა ტექსტები იხ: <https://avant-garde.iliauni.edu.ge>

ველი ფუტურისტული გამოცემა, რომელიც მთლიანად ქართულ ენაზე დაიწერა. მას მოჰყვა ფუტურისტული პოეზიის რამდენიმე კრებული, ასევე რამდენიმე ახალი პერიოდული გამოცემა.

ფუტურისტული ჯგუფისა და ჟურნალ *H2SO4*-ის (1924) ასი წლის იუბილემ შთააგონა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი და უმაღლესი კვლევების ცენტრი, ჩაეტარებინათ საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც ქართული ფუტურიზმის ასი წლის იუბილის აღნიშვნა სხვა, ურთიერთშედარებადი და ხშირად დაკავშირებული ავანგარდისტული ტენდენციების განხილვასთან ერთად წარიმართა. ქართულმა უნივერსიტეტმა გერმანულ მხარესთან, ლიუნებურგის ლოეფანას უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით დაგეგმა და განახორციელა პროგრამა, რომელიც 1910-1920-იანი წლების სხვადასხვა ავანგარდულ სცენას მიუბრუნდა და ერთმანეთს შეადარა. სამეცნიერო კონფერენციაზე ავანგარდის მომენტების გახსენება, ავანგარდის სცენების შეკავშირება, 2024 წლის 9-11 ოქტომბერი, წარმოდგენილი მოხსენებებიდან ბევრი უშუალოდ ფუტურიზმზე არ იყო ფოკუსირებული და, შესაბამისად, ამ ანგარიშში მათ არ განვიხილავთ.

კონფერენციაზე სულ შვიდი მოხსენება შეეხებოდა *H2SO4*-ს და იმ შემოქმედებს, რომელთაც ეს პუბლიკაცია შესაძლებელი გახადეს.

პირველი იყო გაგა ლომიძის მოხსენება, სახელწოდებით *მოდერნიზმის მომენტების გახსენება: 1910-1920-იანი წლების საქართველო*. მოხსენებაში *H2SO4* და ქართული ფუტურიზმი კავკასიაში კულტურული განახლების უფრო ფართო კონტექსტში იყო განთავსებული. გამოიკვეთა პარიზის, როგორც საწვრთნელი მოედნის მნიშვნელოვანი როლი საქართველოში მოდერნისტული სცენის განვითარებისთვის. 1910-იან წლების თბილისის ინტელექტუალური ცხოვრების მიმოხილვის შემდეგ ლომიძემ წარმოადგინა პირველი ფუტურისტული ჯგუფი 41° და მისი საქმიანობა, წიგნების გამოცემა და პოეზიის სადამოების მოწყობა. როცა 1920-იან წლებზე გადმოინაცვლა, მომხსენებელმა განიხილა *H2SO4*-ში შეტანილი რამდენიმე პუბლიკაცია, განსაკუთრებით — კინოსთან დაკავშირებული, და დაასრულა ნაწყვეტების ჩვენებით კოტე მიქაბერიძის ავანგარდისტული ფილმიდან *ჩემი ბებია*. 1929 წელს, ფილმის გამოსვლის დროს, ქვეყანა უკვე რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული. მიქაბერიძის ფილმი ანტისაბჭოთა ნამუშევრად გამოცხადდა და აიკრძალა. ხელოვნებასა და პოლიტიკაში სტალინურმა შეზღუდვებმა და რეპრესიებმა ბოლო მოუღო საქართველოს ცოცხალ კულტურულ პროცესს და მრავალ ავანგარდისტ ხელოვანს შინაგანი

ემიგრაციისკენ უბიძგა.

ქეთევან კინწურაშვილმა თავის მოხსენებაში დედა ენიდან  $H_2SO_4$ -მდე განიხილა გრაფიკული დიზაინის ისტორია საქართველოში და აჩვენა, თუ როგორ ცდილობდა დიზაინი აესახა სენსორული შთაბეჭდილებები თანამედროვე ცხოვრების სტილისა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისამდეც მოაღწია. ეს მოიცავდა ქართული ანბანის ახალ დიზაინსაც. იაკობ გოგებაშვილის ილუსტრირებული სახელმძღვანელო, *დედა ენა* (1876), ცდილობდა ქართული ენის აღორძინებას, მაშინ როცა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა მის პოზიციას მის საკუთარ მიწაზე. ეს აღმოჩნდა მძლავრი შენატანი ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების საქმეში და, შესაბამისად, იქცა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის აუცილებელ ინსტრუმენტად. დედა ენის სურათები წარმოდგენილი იყო ფუტურისტული ჯგუფის მანიფესტში *საქართველო — ფენიქსი* (1922) და  $H_2SO_4$ -ში, რადგან პოეტების ინტერესმა ხმის ვიზუალიზაციისადმი მიიყვანა ისინი ასო-ნიშნების შემოქმედებით დამუშავებამდე, რამაც გააძლიერა ფუტურისტული პოეზიის ვიზუალურ-სმენითი განზომილება.

გიუნტერ ბერგჰაუსის პლენარულ მოხსენებაშიც, *საერთაშორისო ფუტურიზმი და ურთიერთგანაყოფიერება ისტორიულ ავანგარდში*,  $H_2SO_4$  უფრო ფართო კონტექსტში განთავსდა: თავდაპირველად კავკასიისა, სადაც, ასევე, სომეხი ყარა-დარვიში (იაკობ გენჯიანის ფსევდონიმი) პროპაგანდას უწევდა თავის კონცეფციას „აღმოსავლური ფუტურიზმისა“; შემდეგ კი — მთლიანად აღმოსავლეთ ევროპისა. პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფუტურიზმის უაღრესად განსხვავებული ფორმების კონტრასტის ჩვენებით გიუნტერ ბერგჰაუსმა წარმოაჩინა ფუტურისტული ესთეტიკის არაორთოდოქსული ვარიანტების მთელი რიგი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მარინეტის მიერ შემოთავაზებულ „futurismo mondiale“-ს საკმაოდ ვიწრო დეფინიციას. ამგვარად, მოხსენებაში  $H_2SO_4$  ნაჩვენები იყო როგორც ინოვაციური ფუტურისტული პერიოდული გამოცემების ფართო ოჯახის განუყოფელი ნაწილი, ისევე, როგორც ქართული ავანგარდის დამოუკიდებელი წარმომადგენელი.

კატარინა ჭელიძემ მოხსენებაში  $H_2SO_4$ -ის დეკორაციები და ავანგარდის მყარალი პრაქტიკები ავანგარდის სენსუალურ განზომილებაზე გაამახვილა ყურადღება. მან ტრანსკულტურულობის პრიზმიდან განიხილა ქართული კულტურული სცენის თანმხვედრი გამოცდილება და ზოგიერთი კონკრეტული მომენტი. უფრო კონკრეტულად,  $H_2SO_4$ -ის კოლექტივის მიერ გამოყენებული შემოქმედებითი პრაქტიკების საფუძველზე, მან სცადა წარმოეჩინა სუნის გამოყენება პერფორმა-

ნსულ გარემოში, და ეჩვენებინა თვით სუნის პერფორმატულობაც კი სოციოპოლიტიკურ და სოციოკულტურულ კონტექსტში. მან აჩვენა, თუ როგორ ახლდა ჯგუფ  $H_2SO_4$ -ის მხატვრულ პროგრამას სხვადასხვა დესტრუქციული ქმედებები დედაქალაქ თბილისში. ჯგუფმა სუნი აირჩია, ასევე, როგორც საკომუნიკაციო მედიუმი ჟურნალ  $H_2SO_4$ -ში ტრადიციონალისტი ადამიანებისა და კონსერვატიული კულტურული გარემოს დასახასიათებლად.

ლევან გელაშვილმა მოხსენებაში *კინონარატივი ქართულ ფუტურზმში* და  $H_2SO_4$ -ის 100 წელი წარმოადგინა ახალი ონლაინ პლატფორმა, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა. ის აერთიანებს პოეტურ ტექსტებს, ესეებსა და კრიტიკულ მასალას, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ ავანგარდისტულ და ფუტურისტულ ლიტერატურასთან.<sup>3</sup> ქართველი ფუტურისტების მიერ გამოყენებული ნარატიული ტექნიკის განხილვისას გელაშვილმა გააანალიზა, თუ როგორ ეფუძნებოდა ფუტურისტული პოეტიკის კინემატოგრაფიული თავისებურებები მონტაჟის პრინციპებს. კინემატოგრაფიის გავლენა შესამჩნევია 1920-იან წლებში ქართულ ფუტურზმში, როდესაც ავტორებმა ღიად განაცხადეს, რომ მათი მიზანი იყო მათი წერის სტილის „კინემატოგრაფირება“ და განაცხადეს, რომ ჩარლი ჩაპლინი მათი ლიტერატურული სკოლის მეთაური იყო. შედეგად, მათ პოეზიაში შეიქმნა კინემატოგრაფიული რიტმი და ტექსტისა და გამოსახულების კომბინაცია კინემატოგრაფიული მონტაჟის ტექნიკის თანახმად.

ნინო ქავთარაძემ მოხსენებაში *ნიკოლოზ შენგელაიას კინემატოგრაფიული სინტაქსი  $H_2SO_4$ -დან ელისომდე* ასევე ხაზი გაუსვა კავშირს კინემატოგრაფიული მონტაჟის პრინციპებსა და ფუტურისტულ პოეტიკას შორის — როგორც ეს ჩანს ნიკოლოზ შენგელაიას ნამუშევრებში, ფუტურისტისა, რომელიც კინორეჟისორი გახდა და გადაიღო ფილმი *ელისო* (1928 წ.). ქავთარაძემ აჩვენა, თუ რამდენად შედარებადია შენგელაიას  $H_2SO_4$ -ის პერიოდის პოეტური ტექსტები მის კინამეტოგრაფიულ ექსპერიმენტებთან — ექსპრესიულობის, რიტმული სტრუქტურისა და ტემპო-რიტმული მახასიათებლების თვალსაზრისით.

თამარ პაიჭაძემ მოხსენებაში *ფუტურზმი, დადა და ზაუმი ტფილისში* განიხილა ქართულ ფუტურზმის ლინგვისტური ექსპერიმენტები 1920-იან წლებში, ზაუმის სტილში დაწერილი ქართული და რუსული პოეზიის ფონზე. ფუტურისტული პოეზიის ამ ორ განშტოებას შორის გარკვეული კავშირებისა და ანალოგიების მიუხედავად, ქართული ზაუმური პოეზია შეიცავდა განსხვავებულ მახასიათებლებს: „ზესინტაქსური“ ალოგიკური ენის უარყოფას, ასევე ინტუიციურ და ასოციაციურ კავშირებს ქართულ ტექსტებში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური და ფონეტიკური ინოვაციების ფარგლებში.

2024 წლის ოქტომბერში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული თავყრილობა სათანადო შეხსენება იყო, თუ როგორ შეუძლია ინტერავანგარდული ალიანსების საერთაშორისო ქსელს წარმოშვას მხატვრული განვითარება, რომელიც ახალ წახნაგებსა და

3 იხ. <https://avant-garde.iliauni.edu.ge>

ფერებს შესძენს ფუტურისტულ დაჯგუფებათა ფართო ოჯახს მთელს მსოფლიოში. ამან აჩვენა, რომ ფუტურიზმს ჰქონდა გამჭოლი, შორ-სმწვდომი და, ხშირად, სიღრმისეული გავლენა სხვა ქვეყნებზე. თუმცა, მან ასევე აჩვენა, რომ ფუტურისტი შემოქმედები არასდროს ერთგულებდნენ რეცეპტების მონოლითურ ნაკრებს, არამედ იყენებდნენ იდეებსა და ხერხებს მრავალი სხვადასხვა წყაროდან. ტრადიციონალისტური ხელოვნების ალტერნატივების მოძიების მათეული მცდელობები ნიშნავდა, რომ მათ აითვისეს ფუტურიზმის ასპექტები და გააერთიანეს ისინი შთაგონების სხვა, ადგილობრივ წყაროებთან. ამან განაპირობა ფუტურიზმების ფართო სპექტრის წარმოშობა, და ეს მკვეთრად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ფ. ტ. მარინეტის ავტორობითა და რეჟისორობით შეიქმნა. ქართული ჟურნალი *H2SO4* აჩვენებს, რომ ფუტურიზმს გამანაყოფიერებელი გავლენა ჰქონდა კავკასიაში, თუმცა ასევე ავლენს, რომ ქართულმა ფუტურიზმმა იტალიიდან და რუსეთიდან მიღებული იდეები ადგილობრივ დღის წესრიგს მოარგო.

### დამოწმებანი

- Chepyzhov, Pavel V.: *New Georgian Book Design, 1920s-30s*. Warsaw: Wydawnictwo Naukowe, 2018.
- Chikhradze, Mzia: "A City of Poets: The Cultural Life of Tbilisi 1910-1930." *Modernism / Modernity* 21:1 (January 2014): 289-305.
- Chikhradze, Mzia: "Futurist Book: Tbilisi, 1917-1919." Peter Skinner, and Dimiti Tumanishvili, eds.: *Georgian Art in the Context of European and Asian Cultures*. International Symposium of Georgian Art, Dedicated to Vakhtang Beridze. Tbilisi, June 21-29, 2008. Proceedings. Tbilisi: Georgian Arts and Culture Center, 2009. 310-316.
- Chikhradze, Mzia: "The Georgian Avant-garde: Futurism and More." *International Yearbook of Futurism Studies* 10 (2020): 172-199.
- H2SO4*. No.1. Tiflis: "Zaria vostoka", 1924. Reprint Tbilisi: Giorgi Leonidzis Sakhelobis Kartuli Literaturis Sakhelmtsipo Muzeumi, 2011.
- Kintsurashvili, Ketevan, and David Janiashvili: *The Zdanevich Brothers from 1892/4 to 1921: Polish Traces in the Georgian Avant-garde*. Tbilisi: KJArt-Books, 2019.
- Lapshin, Vladimir Pavlovich: *Marinetti e la Russia: Dalla storia delle relazioni letterarie e artistiche negli anni dieci del XX secolo*. Milano: Skira, 2008.
- Tobin, Jordan: "Marinetti's Visit to Russia in 1914 through the Lens of the Russian and Italian Press." *International Yearbook of Futurism Studies* 9 (2019): 3-34.
- Tsipuria, Bela: "H2SO4: The Futurist Experience in Georgia." *International Yearbook of Futurism Studies* 1 (2011): 299-322.

## ვებგვერდები

[http://www.modernism.ge/?action=photogallery&p\\_id=462&b](http://www.modernism.ge/?action=photogallery&p_id=462&b)

<https://avant-garde.iliauni.edu.ge>

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147211>



ფოტოზე: კონფერენციის პროგრამა: ავანგარდის მომენტების გახსენება, ავანგარდის სცენების შეკავშირება, 2024 წლის 9-11 ოქტომბერი. დიზანი: ნინო ბოლქვაძის. სრული პროგრამა იხ: <https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/gonisdziebebi-346/konferenciebi-440/avangardis-momentebis-gaxseneba-avangardis-scenebis-shekvashireba-h2s04-is-100-wlistavisadmi-midzgynili-saertashoriso-konferencia.page>

**Günter Berghaus**

University of Bristol, UK

**Bela Tsipuria**

Ilia State University, Georgia

bela\_tsipuria@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/ 254-261

## 100 Years of Georgian Futurism\*

### Abstract

The centenary of the Futurist group and journal *H2SO4* (1924) prompted the Institute of Comparative Literature and the Centre for Advanced Studies of Ilia State University in Tbilisi to set up an international conference, *Recalling Avant-garde Moments, Reconnecting Avant-garde Scenes*, 9–11 October 2024. The Georgian university teamed up with the Institute of Philosophy and Art History of Leuphana University of Lüneburg and organized a programme that retraced and compared various avant-garde scenes of the 1910s and 20s. Here, a celebration of one-hundred years of Georgian Futurism was combined with a discussion of other, comparable and often related avant-garde tendencies. Among the papers presented, the conference offered altogether seven presentations focusing on Futurism, discussing the Tbilisi avant-garde of 1917–1921, *H2SO4* and the artists who made this publication possible.

The gathering at Ilia State University in October 2024 was a fitting reminder how an international network of inter-avant-garde alliances can give rise to artistic developments that add new facets and fresh colours to the broad family of Futurist groups all over the world. It showed that Futurism had a pervasive, far-reaching and often profound influence in other countries. Yet, it also showed that Futurist artists never followed a monolithic set of prescriptions but rather incorporated ideas and devices from many sources. Their attempts at finding alternatives to traditionalist art meant that they adopted aspects of Futurism and combined them with other, indigenous sources of inspiration. This resulted in a wide spectrum of Futurisms that were distinctly different from the one created and directed by F.T. Marinetti. The Georgian journal *H2SO4* shows that Futurism had a fertilizing influence in the Caucasus, yet also revealed that Georgian Futurism adapted the ideas received from Italy and Russia to a local agenda.

\* For the original English version of the article, see: Tsipuria, Bela. „100 Years of Georgian Futurism“. In *International Yearbook of Futurism Studies*, vol. 15 (2025), ed. Günter Berghaus, 432–438. Berlin: De Gruyter, 2025.